ცნობის ფურცელი

№ 1691 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 სამშაბათი, 8 იანვარი № 1691

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“ ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	9 მ.
6 თვით	5 „	6 თვით	7 „
1 „	75 კ.	1 „	90 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატება** და **„ცნობის ფურცელი“**-უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი № 372**.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“**

ერმილე სვიმონის ძე ხავთასი აუწყებს ნათესვთა და ნაცნობებთ, რომ სამშაბათს, 8 იანვარს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მეუღლის

ნინო გიორგის ასულის ხავთასის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (2—2)

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“

სპ. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილ—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი დასა ბავშთ 8—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით' ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

საღამოს 9 საათიდან დილის 7-მდე ექიმები მორიგეობენ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 13 იანვარს, 1902 წელს.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ

ვ. აბაშიძის მონაწილეობით

კიდევ ერთი მსხვერპლი

კომედია 5 მოქმედ. გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, ლეჟავა. ბ.ბ. აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ურუშაძე და სხვ. დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია. მზადდება წარმოსადგენად: „სტუმარი-ტყვე“.

რეჟისორი **ვ. გუნია**

Tფილისის ლურჯაღლის ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ, კვირას 13 იანვრისთვის, დანიშნულია წევრთა საზოგადო კრება: განსახილველი საგნები:

1) 1901 წლის ანგარიშის დამტკიცება.
2) 1902 წ. ხარჯთ აღრიცხვა.
3) გამგეობის მოხსენება.
4) რევიზიის კომისიის მოხსენება.

თუ 13 იანვარს არ შესდგა კრება, შემდეგი 20 იანვრისთვის იქნება დანიშნული-და კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (1—1)

Qუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ

წარსული წლების ჟურნალი „მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებათ: **1894 და 1895 წ.წ.—შვიდ-შვიდ მანეთად; 1896, 1897, 1898 და 1899 წ.წ.—ხუთ-ხუთ მანეთად; ხოლო 1900 წ. «მოამბე» 1901 წ. ხელის მომწერთათვის ღირება ხუთი მანეთი.**

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ.

ჟურნ. «მოამბის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала «Моамбе».

ეკონომიური განკერძოება და ეროვნული ერთიანობა

I

ვინც ჩვენ ცხოვრებას აკვირდება, ამ ცხოვრებაში ორგვარ მოვლენას ხედავს. ერთის მხრივ, წოდებრივ და კლასსებრივ წინააღმდეგობას მეორეს მხრივ—ეროვნული თანხმობის მიდრეკილებას. პირველ მოვლენას საფუძვლად უძევს ქონებრივი უთანასწორობა; მეორე მოვლენას შეგნება ნათესაობისა და კავშირისა განსაზღვრულ ადამიანთა შორის…

ასე რომ, ჩვენს წინ ორი პრობლემაა—ერთი—ეროვნული ერთობა, მეორე—ეკონომიური განხეთქილება და წინააღმდეგობა. რა ნაირად შეიძლება ამ ორ მოვლენის შეთანხმება?

წინა წერილში ჩვენ ვსცდილობდით, ასე თუ ისე, მიგვეცა პასუხი ჩვენის ცხოვრების ამ უმთავრესს კითხვაზედ. უნდა ვსთქვათ, რომ უპირატესს ყურადღებას ვაქცევდით ეროვნულ თანხმობის კითხვას და სწორედ ამისათვის ჩამოვაგდეთ ლაპარაკი საერთო მოქმედების ნიადაგზედ. ადრევაც და ეხლაც იმ აზრისა ვიყავით, რომ ჩვენს კლასთა და წოდებათა შორის **ზოგიერთ შემთხვევაში** შესაძლებელია კავშირი და რომ ეს კავშირი არსებობს კიდევაც. ხოლო არასოდეს ჩვენ არ გვავიწყდებოდა, რომ ამ კავშირს და წოდებათა და კლასთა გაერთიანებას აქვს თავისი საზღვარი. აი ეხლა სწორედ ამ საზღვარზედ გვინდა მოველაპარაკოთ მკითხველს და ამასთანავე მივცეთ პასუხი იმაზედაც, რა საფუძველი უნდა ჰქონდეს ჩვენს ეროვნულ შენობას.

კითხვა ამნაირია: რანაირად შეიძლება შევათანხმოთ ერთმანეთში კლასთა ბრძოლის პრინციპი და ეროვნება? ეს კითხვა შეიძლება სამნაირად გადავსწყვიტოთ. პირველი გადაწყვეტილების მოსაზრებით, კლასთა ბრძოლა და ეკონომიური განხეთქილება არ შეესაბამება ეროვნულ თანხმობას და მთლიანობას და ამისთვის უნდა იყოს უარ-ყოფილი. მეორე გადაწყვეტილების მოსაზრებით ეროვნულ თანხმობის პრინციპი არ შეესაბამება ცხოვრებაში არსებულ კლასთა და წოდებათა შორის განხეთქილებას, და ამისათვის ეროვნულ თანხმობის პრინციპი უნდა იყოს უარ-ყოფილი. მესამე გადაწყვეტილების მოსაზრებით, ეროვნული თანხმობა შესაძლებელია მათ შორის, ვინც ეკონომიურად და პოლიტიკურად არიან დაკავშირებულნი, ე. ი. ხალხისა და სხვა წოდებათა და კლასთა **იმ** წარმომადგენლებისა, რომლისთვინაც ეროვნება ხალხის დაჩაგვრის იარაღი კი არ არის, არამედ იმის განვითარებისა.

პირველი მოსაზრება უნიადაგო ეროვნების დამცველია, რადგან ეკონომიურ წინააღმდეგობის უარჰყოფა და არ დანახვაა მშრომელ ხალხის (ქალაქისა თუ სოფლისა) გაჭირვებულ მდგომარეობისა. შეგნებული ნაწილი ხალხისა ზურგს აუქცევს ამგვარ ეროვნების ქადაგებას.

მეორე მოსაზრება, ლოღიკურად განმარტებული, ეროვნების უარ-ჰყოფამდე მიგვიყვანს.

მესამე მოსაზრების ძალით, შეიძლება დაცული იყოს ეროვნული პრინციპის და ხალხის მატერიალური კეთილ დღეობაც. და ამის განმარტებაა საჭირო.

ერთს ჩვენს ნაწერში (ცნ. ფ. № 1490) ვამბობდით: „განა ჩვენი ხალხის ყველა ნაწილი ერთსა და იმავე მდგომარეობაში იმყოფებოდა, განა ძველ დროში არ იყო ნივთიერი უთანასწორობა, ღარიბი და მდიდარი, ბედნიერი და უბედური? ჩვენის ისტორიის ზედაპირული შესწავლაც გვეუბნება, რომ წარსულში, თუ არ მეტი, არა ნაკლები ქონებრივი უთანასწორობა იყო ჩვენში და რომ წოდებათა დაყოფვას ღრმა ეკონომიური საფუძველი ჰქონდა. ნივთიერი ძალა ერთი წოდების ხელში იყო, ასე რომ ეკონომიური განხეთქილება, კლასთა შეუგნებელი უთანხმობა ძველ დროშიაც იყო. ამისდა მიუხედავად, ჩვენი ხალხი რიღათითაც დაკავშირებული იყო სხვა წოდებებთან და მას თავისი შინაური მონობა ერჩივნა გარეშე ძალის მონობას. ეს რაღაც იყო—ენა, ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება და ისტორიული ტრადიცია…“

ჩვენს დროში საქმე როგორ არის დაყენებული? შესაძლებელია თუ არა ამ გვარივე კავშირი კლასთა და წოდებათა შორის? იმ ნაწერში ჩვენ ვწერდით: „ეკონომიურ წინააღმდეგობის დაფარვა ჩვენს დროში შეუძლებელია. თუ ძველად ეს წინააღმდეგობა ხშირად შეუგნებელი იყო, ჩვენს დროში იგი აშკარა შეიქმნა ხალხისათვის“.

თუ ეს ასეა, რა ნაირად გვსურს დავიცვათ ეროვნული მთლიანობა და ერთობა? თუ ეროვნება კავშირია, ეკონომიური ბრძოლა—განხეთქილებაა, კავშირის გაწყვეტაა, ერთობის დარღვევაა.

რა საფუძველზე შეთანხმდება და შეზავდება ეს წინააღმდეგობა—ამას შემდეგს წერილში განვმარტავთ.

არჩილ ჯორჯაძე

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ირლანდიის დეპუტატებს 28 დეკემბერს დუბლინში კრება მოუხდენიათ. კრებას სულ 35 დეპუტატი დასწრებია. თავიანთ დასის წინამძღოლად ირლანდიელებს ისევ ერთხმად ჯონ რედმონდი აურჩევიათ; დანარჩენი თანამდებობის მოხელეებიც ისევ წინანდელები დაუტოვებიათ. კრებაზე გარეშე ხალხს არავის უშვებდნენ. დეპუტატებს, სხვათა შორის, ერთი საყურადღებო რეზოლუცია დაუდგენიათ. ამ რეზოლიუციაში სასტიკი პროტესტია გამოცხადებული იმის წინააღმდეგ, რომ ადმინისტრაცია ირლანდიელების კრებებსა ჰშლის, პოლიცია ძალ-მომრეობას ჰხმარობს, სიტყვის თავისუფლებას ჰზღუდავს და ირლანდიელების დეპუტატებს სამართალში აძლევენ. დასასრულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ დეპუტატთა პალატაში უსათუოდ ბეჯითი პროტესტი უნდა გამოუცხადოთ ინგლისის მთავრობასაო.

საფრანგეთი. მომავალ მაისში საყოველთაო არჩევანი უნდა მოხდეს. საფრანგეთის ერმა თავისი კანონ-მდებლები უნდა აირჩიოს ოთხი წლის ვადით. ეს არჩევანი სიკვდილ-სიცოცხლის გამრჩევი წამალივით გაარკვევს, გაარჩევს, თუ რომელ პოლიტიკურ დასს, რომელ პოლიტიკურ რწმენასა და მიმართულებასა აქვს სიცოცხლის უნარი და რომელს საფლავში ჩაუდგამს ფეხი და საიქიოსაკენ უქნია პირი. „რუსკია ვედომოსტი“-ს პარიზელი კორესპონდენტი ამ საგნის თაობაზე საინტერესო ცნობებს იწერება. კორესპონდენტის აზრით, მონარქისტებს ეხლა არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვთო. თვით ბურჟი და იმედი უოველი რეაქციისა კლერიკალობაა და ისიც კი ხელიდან უსხლტებათ მონარქისტებსაო. მელინისტებსა და ზომიერ რესპუბლიკელებსაც არ დაუდგათ კაი დარი, არც თუ ესენი არიან კაი გუნებაზეო. ესენი ერთთავად სულ მონოპოლიებსა მფარველობენ, ტარიფებს ესარჩლებიან და „ფვითელ სინდიკატებს“ აარსებენ თავიანთ ინტერესების დასაცველად. ბევრს ამათგანს თავიანთ თავის მეტი არა აგონდება რა, „ქვეყანა და ქვეყნის საქმე“ ნამდვილად ძლიერ ცოტას აფიქრებთ და აღონებთო.

ოპორტიუნისტების მომხრე ჯგუფი (იზამბერსარიენისა) ორ წყალ შუა—რადიკალებსა და ზომიერ რესპუბლიკელებს შუა,—მოექცა. საიდანაც ღონიერი ქარი დაჰბერავს, იითონაც იქით იხრება. ეს ჯგუფი ერთ-თავად სულ იმას არწმუნებს თავის მეზობლებს, დავი-დარაბას, შუღლს თავი დაანებეთ და ჩემ კალთას ქვეშ შეერთდითო. რადიკალებსაც ძლიერ ბევრი კეთილი სურვილი და წადილი აქვთ, მაგრამ ამათი ფარ-ხმალი ძლიერ

დაძველდა და შკუაში ადარავის არ მოსდის, ამ ფარხმალს ეხლა მარტო რადიკალ-სოციალისტების პელტანისა და გობლეს ჯგუფი-და ხმარობს. რადიკალური დასის უმეტესობა ხომ წინ კი არ იყურება, სოციალური და პოლიტიკური რეფორმების მოხდენას კი არა ცდილობს, არა ის უფრო უკან იცქირება და მარტო ნაციონალისტებსა და კლერიკალებს ებრძვის ამ დასის სისუსტეც ისაა სწორედ, რომ ნათელი მკაფიო საზოგადოებრივი იდეალი არა აქვს-რა. ამათი მეთაური ბრისონი ბევრს ლაპარაკობს რაღაც საზოგადოებრივ თანხმობასა და ერთმანერთის შველაზე, მაგრამ ბრისონი მარტო მაშინ ფიცხდება და ბრძოლის გუნებაზე მოდის, როდესაც გულდაგულ და პირის-პირ კლერიკალებსა ჰხვდება. მაინც ბრისონი თავისი დღენი სულ კლერიკალიზმს ებრძოდა.

ამის შემდეგ კორესპონდენტი ასე განაგრძობს:

„თუმცა დიდი საქმეა კლერიკალებთან ბრძოლა, თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დემოკრატიის მუდმივი, დაუძინებელი მტრის დამარცხებას, მაგრამ კლერიკალიზმზედაც ვერა დასი ვერ გაიმარჯვებს, თუ მკაფიო პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრი არა აქვს, თუ ფართო საზოგადოებრივი იდეალებით არ ხელ-მძღვანელობს და დიდი სოციალური რეფორმების შემოღებას არა ცდილობს. კლერიკალიზმს მარტო ის დასძლევს, ვინც ეხლანდელ ეკონომიურ-სოციალურ წეს-წყობილების შეცვლას ეტანება, რადგანაც ჩვენს დროში თითქმის ყველამ შეიგნო, რომ ეს წეს-წყობილება ძლიერ უსამართლო წეს-წყობილებაა. ამისთანა დასი საფრანგეთში მარტო მუშების დასია. აკი ეს დასი ძლიერ სწრაფადაც იზრდება! ჟორესმა ერთ წერილში დიახაც საბუთიანად სთქვა: თუმცა მარქსისტებსა და ჟორესისტებს დიდი განხეთქილება და დიდი შფოთი მოსდით, მაინც მუშების დასი დღე და დღე ძლიერდება, მისი სინდიკატები და კოოპერაციები სწრაფად იზრდება. ამ დასმა თავისი დაწესება და წესები სოფელშიაც კი გაავრცელა და დიდი გავლენაც მოიპოვა იქა. ჟორესს დაავიწყდა ეთქვა, რომ ამ დასის გავლენა არა თუ მარტო მუშების, ანუ გლეხების წრეს ემჩნევა, თვით ინტელიგენციასაც კი თავისი ბეჭედი დაასო.

აბა ახალგაზრდა პოეტების, რომანისტების, დრამატურგების ნაწერები წაიკითხეთ, ყური დაუგდეთ მონმარტრის პოეტების ლექსებს, აბა ახალგაზრდა სოციოლოგების, ისტორიკოსების და ეკონომისტების გამოკვლევებში ჩაიხედეთ და დარწმუნდებით, რომ მუშების დასის იდეალებსა და წადილებს დიდი გავლენა აქვთ ყველაზე. აქაური ბურჟუაზიული საზოგადოების განათლებულ წრეში უფრო და უფრო ერთნაირი სოციალურ-პოლიტიკური მიმართულება ვრცელდება. ამ მიმართულების გავლენის ქვეშ განათლებული ბურჟუაზია თან და თან დიდ ყურადღებას აქცევს საზოგადოებრივ საქმეებს და მუშების დასის აზრებსა და წადილებს გატაცებით სწავლობს. ამ საზოგადოებაში ნელ-ნელა ისეთი კაცებიც კი გაერივნენ, როგორიცაა, მაგალითად, დრეიფუსის განთქმული დამცველი ლაბორი. დიდი ხანი არაა მას აქეთ, რაც ლაბორი მზად იყო მელინთან ხელიხელ ჩაართული ემოქმედნა, ეხლა კი ჭეშმარიტებისა და სამართლის სახელით დიდ აგიტაციას ჰმართავს საზოგადოებაში და თითქმის ყველაფერში ემხრობა მუშების დასსა.

ასეა, თუ ისე, ის კი ნამდვილია, რომ მთელ საფრანგეთში უფრო და უფრო გული მოსდით მსხვილ ბურჟუაზიაზე, თან და თან უფრო ძლიერის გულის-წყრომით სჩივიან, რომ ეს ბურჟუაზია მთელი უკანასკნელი 25 წლიწადი განუწყვეტლივ მარტოდ-მარტო მეფობდა და ბატონობდა და თავისი საკუთარი საძაგელი კვალი დაასჩნია საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ დარგსაო. დიდძალმა ხალხმა შეიგნო, რომ ამ ბურჟუაზიის მეფობამ ლამის მთელი ქვეყანა გარყვნას და ყოვლნაირად გამოფიტოს. ამიტომ ეხლა ძრიელ ბევრს სწადიან, რომ ამ ბატონობას როგორმე ბოლო მოუღოს. ამ გულის-წყრომასა და ამ წადილს თითქმის ყოველ ნაბიჯზე შეჰხვდებით. რომანისტები და დრამატურგები ათასნაირად უხსნიან ხალხსა, თუ ამ ოქროს კერპის მსახურნი რა საძაგლად მოქმედებენ გაზეთებზე და საზოგადოებაზე. პოეტები და კუპლეტისტები მოურიდებლივ ჰგმობენ ბირჟის მეფეებისა და მათი დამქაშების სიხარბესა და გაუმაძღრობას; ჰგმობენ აგრეთვე პოლიტიკური წრეების, სასამართლოს და გაზეთების ქედ-დრეკილობასა და ფლიდობას. პოეტები გულმოდგინედ ჰკიცხავენ ბირჟის ოსტატების გულქვაობასა: თავიანთ მოყვასთა მწუხარება აინუნშიაც არ მოსდითო. საზოგადოებაც, ნამეტნავად ინტელიგენცია, სულით და გულით თანაუგრძნობს თავის პოეტებსა და რომანისტებსო, თეატრში წახვიდეთ, კაფე-კონცერტში, თუ საერო კრებაზე, ყველგან დაინახავთ, ოღონდ ვინმემ ოდნავ მაინც გაჰკრას და ცუდად მოიხსენიოს ფულის პატრონების სიხარბე და ფარისევლობა, ოღონდ ხალხს გაახსენოს, რომ დეპუტატებსა, სენატორებს, მოსამართლეებს და გაზეთებსაც ამ ვაჟბატონების მხარე უჭირავთო, და მაშინ თქვენის საკუთარის თვალით დაინახავთ, თუ რანაირად გაიხარებენ და რა საშინელ ტაშის ცემას ასტეხენ მსმენელები.

ასე რომ 1902 წლის დამდეგს საფრანგეთის ერი ცალკე კლერიკალებსა და ნაციონალისტებს ებრძვის გაცხარებით და რესპუბლიკის წეს-წყობილებას იცავს, ცალკე დიდი ფულის პატრონებსა და მსხვილ ბურჟუაზიას ებრძვის და ცდილობს, რომ ამით ათასნაირი მონოპოლია და შეღავათი მოუსპოს. ამას გარდა საფრანგეთის ერი უფრო და უფრო გულ-მოდგინედ ჰფიქრობს და ზრუნავს იმისათვის, რომ ამ წუთისოფელში მეტი ადამიანობა და სწორე სამართალი გაიჩინოს და საფრანგეთის რესპუბლიკა ნამდვილ დემოკრატიულ რესპუბლიკად აქციოს. ეხლა ბევრნი ამბობენ: გერმანიის ჯავრის ამოყრაზე ხელი ავიღოთო და ახალი კოლონიების შეძენას და ქვეყნების დაპყრობას თავი დავანებოთო. გერმანიასთან მშვიდობიანი მეზობლური განწყობილება ჩამოვაგდოთ და მერე ჯარის კაცთა სამსახურის ვადა და სამხედრო ბიუჯეტი შევამციროთო. ამას გარდა ყველანი თანახმანი არიან, რომ მშრომელი ხალხის ქონებრივი და ზნეობრივი მდგომარეობა გაუმჯობესდეს; რიგზე ვეცადნეთ, რომ გლეხ-კაცებს და მუშებს სკოლის გარედაც რიგიანი განათლების მიღება შეეძლოთო, ვიზრუნოთ იმისთვისაც, რომ საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრება დემოკრატიულ საფუძველზე დავამყაროთო. ამისთვის საჭიროა, რომ სახელმწიფომა და საქალაქო დაწესებულებებმა ყველა საქმეები თითონ აწარმოვოსო; დავაარსოთ სასოფლო-სამეურნეო სინდიკატები, მწარმოებელთა და მომხმარებელთა საზოგადოებანი გლეხებისათვის, მუშების საზოგადოებანი და ამხანაგობანი და სხვ. და სხვა.

გაკვრით საჭიროა მოვახსენოთ ისიც, რომ მუშების დასის ერთი ნაწილი ცდილობს თავისი მოქმედების ფარგალი გაადიდოს და თავის პროგრამას მკაფიო, ცხადი ევოლიციისა და რეფორმის ელფერი მისცეს. ამით ამ მუშებს სწადიათ, რომ წვრილი ბურჟუაზიის და გლეხობის გარდა, ბურჟუაზიის დემოკრატიული ინტელიგენციაც მიიმხრონ.

შეცდომის გასწორება: გუშინწინდელ ნომერში დევეტზე სწერია: „ტრანსვაალის ჩრდილოერთ-აფრიკისაკენ აპირებს წასვლასა“. უნდა ეწეროს: „ტრანსვაალის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ აპირებს წასვლასაო“.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 7 იანვარს, ამიერ კავკასიის რკინის გზების უფროსის **ინჟ. ღ. ვედენეევის ცხედარი** ტფილისიდან რუსეთში წაასვენეს. დილის 9 საათზე განსვენებულის ბინაზე მიბრძანდა საქართველოს ეგზარხოსი მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ალექსი, რომელმაც სამღვდელოებასთან ერთად გარდაიხადა მცირე პანაშვიდი. შემდეგ ცხედარი გამოასვენეს სახლიდან და ხელით მიიტანეს ალექსანდრე-ნეველის ტაძარში, სადაც გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ: დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე, კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე, ტფილისის გუბერნატორი სვეჩინი, ვიცე-გუბერნატორი ალიშევსკი, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, სამოქალაქო, სასამართლოთა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი, რკინის გზების მოხელენი და სხვანი. პანაშვიდის შემდეგ ვედენეევის კუბო, შემკული ბევრის გვირგვინებით, მიასვენეს რკინის გზის ტფილისის სადგურზე, საიდანაც საღამოზე საგანგებო მატარებლით ბაქო-ბალაჯარის რკინის გზით წაასვენეს პეტერბურგს.

◆ გუშინ, 7 იანვარს, ტფილისის საბჭოს დარბაზში პოლიციის მეოთხე ნაწილის ბოქაულის ბ-ნ დუშინსკის თავმჯდომარეობით შესდგა **კრება ტფილისის მოქალაქეთა დეპუტატებისა**, რომელთაც უნდა მოეხდინათ არჩევნები მოქალაქეთა მოურავისა, ხარკის ამკრებ მამასახლისისა, მათის კანდიდატებისა და სხვა მოხელეთა. კრებას დაესწრო 89 დეპუტატი. მცირე კამათი გამოიწვია იმ საკითხმა, თუ როგორის წესით შეუდგნენ არჩევნების მოხდენას. კრებამ გადასწყვიტა ჯერ მოახდინონ არჩევნები მოურავისა და შემდეგ სხვა მოხელეებისა. ბარათებით დასახელებულ იქნენ მოქალაქეთა მოურავის კანდიდატებად: ი. ს. ბულდანოვი, სტ. დანდუროვი, ანდრ. ადამიძე, მაკარ ჩიმიშკიანი, ა. ჯილიაევი, ანდ. აპრიამოვი და ა. კაპანაძე. კენჭის ყრაზე თანახმობა განაცხადეს ყველა აღნიშნულმა პირებმა. კენჭი ამოუვიდათ: ი. ს. ბულდანოვს—65 თეთრი და 24 შავი, სტ. დანდუროვს—45 თეთრი და 43 შავი, ა. ადამიძეს—33 თეთრი და 54 შავი, მ. ჩიმიშკიანს—20 თეთრი და 69 შავი, ა. ჯილიაევს—24 თეთრი და 64 შავი, ანდ, აპრიამოვს—20 თეთრი და 69 შავი, ანდ. კაპანაძეს—27 თეთრი და 62 შავი, ამ ნაირად მოურავად არჩეულ იქმნა ი. ს. ბულდანოვი, ხოლო მის კანდიდატად სტ. დანდუროვი· ხარჯის ამკრეფ მამასახლისად არჩეულ იქნა ი. ო. ყაითმაზოვი, ხოლო მის თანაშემწედ პ. ხოსროევი. ბოლოს არჩეულ იქნა 22 დეპუტატი, რომელთაც დახმარება უნდა აღმოუჩინონ ხარჯის ამკრებ მამასახლისს.

◆ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის **სასარგებლოდ** კავკასიის მთავარ-მართებელმა, თავ. გ. ს. გოლიცინმა, 6 იანვარს შესწირა 100 მან.

◆ ტფ. სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ 6 იანვარს გამართულმა ბალმა ჩვეულებრივ ბრწყინვალედ ჩაიარა: დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი და კარგად ნასიამოვნები დილის მეოთხე საათზედაიშალა.

◆ გუშინ, 7 იანვარს, ქალაქის საბჭოს სხდომაზე დანიშნული ქალაქის გამგეობის ახალი წევრის **არჩევანი** ე. ე. ხოსროევის ნაცვლად, რომელსაც სამსახურის ვადა შეუსრულდა, შესდგა და 22 ხმით წინააღმდეგ 6-სა ამორჩეულ იქმნა ისევ ე. ე. ხოსროევი. ამავე სხდომაზე საბჭომ გარდასწყვიტა პრინციპიალურად კანონიერად იქმნეს ცნობილ საბჭოს სხდომა ხმოსანთა ნამდვილ რიცხვის 1/3 კაცის დასწრებით.

◆ 26 დეკემბერს ქ. კავკავში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქართულს სკოლაში გაუმართავთ **ქართული საღამო** ხსენებული სკოლის სასარგებლოდ. საღამოს დიდ-ძალი საზოგადოება დასწრებია, სხვათა შორის, ოლქის უფროსი და სხვა წარმომადგენელნი ადმინისტრაციისა. საკონცერტო განყოფილებას მშვენივრად ჩაუვლია. შემოსავალი 1,400 მანეთამდე ყოფილა.

◆ კავკავიდან იწერებიან, რომ **ქართული საღამო ქ. როსტოვში** კავკავის ქართული სკოლის სასარგებლოდ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო გადიდვა საყველიეროდო.

◆ ჩვენ გადმოგვცემენ, რომ **მარიამ კოსაკოვსკაის მკვლელობის საქმე და ექიმ გოონის დაჭრისა** გადაწყვეტილია გარდასცენ სამხედრო ოლქის სასამართლოს, რომელიც განიხილავს ამ საქმეს მომავალ მარტში.

◆ მთავარ-მართებლის კანცელარიაში შეტანილია ტფილისის გუბერნატორის შუამდგომლობა და ტფილისის ღარიბ-სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოების დამფუძნებელთა თხოვნა, რომ დამტკიცებულ იქმნას ამ **საზოგადოების წესდება** კავკასიის უმაღლესის მთავრობისაგან, რის შემდეგაც წესდება წარედგინება შინაგან საქმეთა მინისტრს.

◆ მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ბ. ბერესტნევი, რადგანაც შავი ზღვის ნაპირებზე შავი ჭირის ნიშნები **სრულიად არ არის**, ბათუმიდან მოსკოვში წავიდა.

◆ 6 იანვარს **გაჭრეს** გარდაცვალებული რკინის გზის უფროსი ინჟინერი ვედენეევი და აღმოჩნდა, რომ ტყვია მოხვედრია მკლავში, ძვლები დაუმსხვრევია, მერე გვერდში შესულა, მარცხენა ფილტვში გაუვლია და ხერხემლის მეთერთმეტე მძივში. ინჟინერი ვედენეევი გარდაიცვალა სისხლის მოშხამვის გამო.

◆ როგორც იტყობინებიან, **აბრეშუმის თესლის** გატანა საზღვარ გარედ ამიერიდან უბაჟოდ იქნება, ხოლო 1903 წლიდან საზღვარ-გარეთიდან მოტანილ აბრეშუმზე ბაჟი მომატებული იქნება; ბაჟის მომატება არ შეწყდება მანამდე, სანამ ფუთ აბრეშუმზე ბაჟი 30 მან. ოქრო არ შესდგება.

◆ ბაქოდან გვწერენ: 5 იანვარს, სასტუმრო „გრანდ-ოტელში“ **ნ-ში მკვდარი** ინჟენერ-ტეხნოლოგი ბრონისლავ სტანკევიჩი; იქვე ეგდო რევოლვერი, რომლიდან ტყვია მარცხენა გვერდში ჰქონდა მოხვედრილი.

◆ მოგვივიდა ორი ახალი **ქართული წიგნი**: „ლექსები“ სიმონ ქვარიანისა და „წამყვანის ვაზით ვენახის გაშენება“, მისივე; პირველი წიგნი ღირს 25 კ. მეორე—5 კ.

◆ „კავკაზ“-ში ვკითხულობთ: „ჩვენ შევიტყუთ, რომ ადგილობრივ **მეღვინეთა და მევენახეთათვის საყურადღებო** საკითხი იმის შესახებ, რომ ღვინით ვაჭრობა ურმებიდან, ტიკიდან და მემამულის სახლში თავისუფლად სწარმოებდეს, მთავრობისაგან გადაწყვეტილი იქმნა: მევენახეთა და მეღვინეთ ეძლევათ ხსენებული ნება“.

◆ ქალაქის თავის მოადგილემ ბ. შესტაკოვმა ქალაქის გამგეობაში შეიტანა მოხსენება და სთხოვს, რომ ის გაანთავისუფლონ **საბუღალტრო განყოფილების** გამგებლობისაგან, რადგანაც იმას, როგორც ქალაქის თავს, უიმისოდაც ძალიან ბევრი საქმე აქვს.

◆ სიღნაღიდან იწერებიან, რომ ვარდან ენიკოლოფოვი, რომელიც ქალაქის თავად ამოურჩევიათ სიღნაღელებს, ტფილისის გუბერნატორს **არ დაუმტკიცებია**.

◆ ვლადიკავკავის რკინის გზების **უმთავრესი სახელოსნოები** როსტოვიდან ვლადიკავკავში გადააქვთ.

◆ ტფილისის პოლიციას დეკემბრის ანგარიშში აღნიშნული აქვს **შემდეგი შემთხვევები**: 31—ქურდობა, 5—კაცის კვლა, 4—უეცრად გარდაცვალება, 1—გაუპატიურება, 2—თავის მოკვლა, 7—ცეცხლის გაჩენა, 1—ქურდობის განზრახვა, 1—სასიკვდილოდ გალახვა, 8—ბავშვის მიგდება, 2—გაძარცვა და 3 უბედური შემთხვევა („კავკ.“).

◆ 7 იანვარს, ბელგიის უსახელო საზოგადოებამ 4097 მან., წარუდგინა ქალაქის გამგეობას, როგორც **დამატებითი გარდასახადი** საზოგადოების შემოსავლიდან, თანახმად ქალაქთან 1900 წ. 14 მარტს დადებულ ხელშეკრულობისა.

◆ ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს ანგარიშიდანა სჩანს, რომ წინა წლებთან შედარებით სახელმწიფო ტყეების შემოსავალმა შესამჩნევად **იკლო**. ამის გამო სახელმწიფო ტყეების გამგეთ მოსთხოვეს, რომ უჩვენონ მიზეზი, რის გამოც იკლო ტყის შემოსავალმა. ჩვენა ვგონებთ, რომ შემოსავლის დაკლების მიზეზი არის ის სისტემა, რომლითაც სარგებლობენ ტყის საჩეხად გაცემის დროს, ე. ი. **მთელი ნაჭრებით ტყის გაცემა**, რაიც კარგა ხანია, რაც შემოღებულია. რადგანაც ტყის მწარმოებელი ჩვენში უმთავრესად გლეხ-კაცია, აშკარაა, რომ იმას იმდენი შეძლება არა აქვს, რომ სახელმწიფო ტყე იყიდოს მთელის უბნობით ანუ ნაჭრობით და ამიტომ ჰყიდულობს ცოტა-ცოტას, რაც დასჭირდება, კერძო მემამულისაგან; ამ გვარად სახელმწიფო ტყეს გასავალი არა აქვს.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ თბილი დარების გამო, გლდნის ხეობაში მუხას და წიფლას **კოკორი გამოუტანიათ**, რაც ძალიან იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ქალაქის ნაპირებზე კიდევ, მაგ. ძაღლის უბანში ნუში და ტყემალი ჰყვავის.

◆ „ჩერნომ. ვესტნიკ.“-ში ვკითხულობთ: „ოთხ იანვარს ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორაში ძალიან **სამწუხარო ამბავი** მოხდა. ფოსტალიონი ბესარიონ თევდორაძე, ახალგაზდა ყმაწვილი კაცი (23—24 წლისა), კარგი მოსამსახურე და კეთილ-სვინდისიერი მუშაკი, დილით ადრე შევიდა თავის ოთახში, რომელშიაც ორიც სხვა მოსამსახურე სცხოვრობდა, და დალია დიდის ჭიქით კარბოლის სიმჟავე. ყოველმა ცდამ, რომ სიკვდილს გადაერჩინათ საბრალო, ამაოდ ჩაიარა და უბედური საშინელ ტანჯვაში გარდაიცვალა. წინა-ღამეს შინ არა ყოფილა და დილით რომ მოვიდა, ერთს თავის ამხანაგს ოთახის გასაღები სთხოვა და რა გამოართვა, უთხრა: „ეხლა კი მშვიდობითო“. ამხანაგს ეგონა, რომ კიდევ სხვაგან აპირებს წასვლას და ურჩია, შინ დარჩენილიყო. მერე კი აღმოჩნდა, რომ საბრალო თავის ამხანაგს სამუდამოდ ეთხოვებოდა“.

◆ ტფილისის გუბერნატორმა მოსთხოვა ქალაქის თვით-მმართველობას, რომ წარმოადგინოს თავისი დეპოზიტი 2,200 მან., რომელიც საჭიროა საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულოს შენახვისათვის.

◆ გუბერნატორმავე გაუგზავნა ქალაქის თავის მოადგილეს ქალაქის საკრებუ-

ლოს გადაწყვეტილების პირი შესახებ სავალდებულო დადგენილებათა დამტკიცებისა **ვაჭრობაზე ჩვენს ბაზრებში**. ამ დადგენილებებში უნდა შეიცვალოს ბატკნებით და გოჭებით ვაჭრობა. ეს პირუტყვები ყოველთვის უნდა ინახებოდნენ სუფთა კალათებში ანუ გოდრებში.

◆ მთელი წარსული წლის განმავლობაში **საქალაქო კამერას** გაუყიდნია: შიგ სადგომში 6,551 მ. 10 კ. ნივთები, ხოლო გარედ—51,179 მ. 95 კ., სულ 57,736 მ. 5 კ. ამ ფულიდან ქალაქის სასარგებლოდ დარჩენიათ 2,346 მ. 59 კ. კამერის შენახვისთვის ამ საანგარიშო წელს გადადებული ყოფილა 2,415 მ; ხოლო დაუხარჯავთ 2,292 მ. 97 კ., ასე რომ, არამცთუ თავისი ნახარჯი არ აუღია, პირიქით, ქალაქისთვისაც დარჩენილა ცოტა რამ.

◆ ტფილისის გუბერნიის სამმართველოს სააღმშენებლო განყოფილებას მოუთხოვნია ქალაქის გამგეობისაგან პასუხი: რომელი **საბუთის ძალით დაამტკიცა გამგეობამ** გეგმა და ნება დართო მუსიკალურ საზოგადოებას, რომ ამ უკანასკნელს ხელი მიუყვია საკუთარი სახლის აშენებისათვის გრიბოედოვის ქუჩაზე მაშინ, როდესაც მხოლოდ გუბერნიის სამმართველოს სააღმშენებლო განყოფილებას შეუძლიან, რომ გეგმა დაამტკიცოს და აშენების ნება მისცეს. ამაზე ქალაქის გამგეობამ უპასუხა, რომ გეგმა შეცდომით იყო დამტკიცებული.

◆ შაბათს, 5 იანვარს, ქალაქის გამგეობას სხდომა ჰქონდა **საყასბოზე დაწესებულ გადასახადების** წესის განსახილველად. სხდომას, სხვათა შორის, დაესწრნენ სანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი, ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსი ზედამხედველი და ქალაქის ბეითალი ვარლამოვი. კარგა ხანს მოლაპარაკების შემდეგ გამგეობამ დაამტკიცა წესდების 1-ლი და მე-2 მუხლები, ხოლო მესამე მუხლის რედაქცია შეცვლილ იქმნა ისე, რომ ქალაქის საყასბოზე პირუტყვთა დგომისათვის გარდასახადების თვალ-ყურის გდება მიენდობა სამეურნეო პოლიციის უფროს ზედამხედველს. ზედამხედველსავე მიენდო გარდასახადების კონტროლი და მის სისწორით საქმის წარმოების პასუხის მგებლობა. საყასბოს ბეითლებს წესდებით მიენდობა ყოველ მის დროზე შეადგინონ და წარუდგინონ ხოლმე ქალაქის გამგეობას ანგარიშები იმის შესახებ, თუ რამდენ პირუტყვს მოდენიან დასაკლავად, რამდენს დაკლავენ და სხვ. აღნიშნულ დადგენილებას ახლოს მომავალში გამგეობა საბჭოს წარუდგენს განსახილველად.

◆ ქალაქის გამგეობის სააღმშენებლო განყოფილებამ მისწერა გუშინ პოლიციის მე-6 ნაწილის ბოქაულს, შეჩერებულ იქმნას კრწანისის ქუჩაზე მარიამ ელიაროვის ეზოში სახლის აშენება, ვიდრე ადგილობრივ ეზოს არ დაათვალიერებს ქალაქის ტეხნიკოსი.

◆ 4 იანვარს ოლგას ქუჩაზე, საღამოს 6 საათზე, ჩხუბის დროს გლეხმა ნიკოლოზ ანისკინმა დანით დასჭრა მარცხენა გვერდში თეოდორე ალექსის ძე ანისკინი. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს, დამნაშავე შეიპყრეს.

◆ კვირას, 6 იანვარს, პოლიციის პირველ ნაწილში ტფილისის მცხოვრებს პავლე სოფრონიძის ბინაში გატეხილ ფანჯრიდან შეპარულან ქურდები და გაუტანიათ სხვა-და-სხვა ნივთები, სულ 975 მ. ღირებულებისა.

◆ ძმ. ნიკიტინების ცირკის სადგომში 6 იანვარს, საღამოს 9 საათზე, შესულა სპარსეთის ქვეშევრდომი კონსტანტინე კუმილი-მაღი-ოღლი, რომელიც მივარდნია ცირკის პატრონს აკიმ ნიკიტინს, ჩამოუგლეჯია 200 მან. ღირებული ბრილიანტის ქინძისთავი და გაქცეულა. ქურდს მალე მიასწრეს და დაიჭირეს.

შეცდომის გასწორება. გაზ. «ცნ. ფურც.» № 1689, შაბათს, მღ. ან. გოდერძიშვილის წერილში მოხსენებული იყო «სულ შეგროვდა 13 მან. და 20 კაპ.» უნდა იყოს: შეგროვდა 13 მ. 70 კ. იქვე, რედაქციის შენიშვნაში: იყო „რედაქციამ მიიღო 13 მან. 70 კაპ.» უნდა იყოს: «რედაქციამ მიიღო 13 მან. 40 კაპ.

თეატრი

ქართული თეატრი

«ორი ჯიბგირი» მელოდრამა დეკურსელისა

მელოდრამაცაა და მელოდრამაც! მაგრამ „ორი ჯიბგირის“-თანა არხი-მელოდრამის გამოგონება პარიზის ბულვარის რომანისტებსაც კი გაუჭირდებოდათ. ღმერთო უკვდავო, რას არ ნახავთ ამ საშინელ ხუხულაში (იმერლები გოჯილას იტყოდნენ)! კეთილშობილურ თავდადებასა და თავდავიწყებას, საოცარ ავაზაკებს, რომელთაც მოხერხებით რამდენიმე ათი ათასი ფრანკი უშოვნიათ და იმწუთსავე საქურდლად მიდიან, რომ დახლართული შინაარსი პიესისა ერთი ათად კიდევ დაიხლართოს, ამგვარ ავაზაკთა წრეში (და მათ მიერ) აღზრდილ გულკეთილ და კეთილშობილ პატარა ბავშვებს, რომელნიც გიგანტისებურ ვაჟკაცობასა და სულგრძელობას იჩენენ, არხიოტელოსებურ იჭვიანობას, საზიზღარ მკვლელობას და სხვას მრავალ ამგვარობას! რა ნერვების პატრონი უნდა იყვეს მაყურებელი, რომ შვიდ მოქმედების განმავლობაში ამისთანა საშინელებანი აიტანოს.

ჩვენი არტისტების თამაში ამ პიესასა მთლიან შთაბეჭდილების მხრივ სუსტი იყო. ეტყობოდათ, რომ не спѣлись. ვასო აბაშიძე და გაბუნია მშვენიერები იყვნენ: ორივენი უნაკლულო ავაზაკნი იყვნენ. მშვენიერი იყო ტასო აბაშიძეც ფანფანის, ამ „პარიზელ ბიჭის“ ტიპის როლში. ლეჟავა გვარიანად თამაშობდა ქლექიან კლოდინეს როლს, რომ უკანასკნელ მოქმედებაში მეტი ძალა გამოიჩინა. კ. მესხი უგულოდ თამაშობდა დეკერლორის როლს, გარდა ერთის მომენტისა, როცა მის იჭვიან ბუნებას საბუთი ეძლევა ხელში ცოლზე იჭვი შეიტანოს: აქ კ. მესხს ძალაც ეტყობოდა და გრძნობაც. გუნიას რობერტ ვალბუაზსაც აკლდა სიცოცხლე და მოძრაობა. სვიმონიძე ტიპიური მიული იყო. ასეთივე იქნებოდა ურუშაძეც, რომ უკანასკნელ მოქმედებაში არ ესუსტა—კლოდინეს მოკვლის სცენა უხეიროდ გამოუვიდა. კარგარეთელი კარგი ელენე იყო იმათთვის, ვინც პირველ ორ რიგზე ისხდნენ, დანარჩენებს კი არა გაუგონიათ რა, ისე დაბლა ლაპარაკობდა.

დანარჩენები ყველანი თავ-თავის ადგილას იყვნენ.

ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ ახალ გამგეობის გონიერ ზომას—ფასების დაკლებას. თეატრის დარბაზში ტევა არ იყო. თეატრს მოაწყდა ისეთი ხალხი, რომელიც თავის დღეში თეატრში არ ყოფილა და რომლის ქართულ თეატრთან დაახლოვება ყოველმხრივ საგულისხმოა.

ქუთაისის ახალი ამბები

~ ქუთაისის ცნობილს ვაჭარს, სტეფანე ფეიქაროვს ქუთაისში გამართული აქვს დიდი საწყობი ყოველ-გვარ სამეურნეო იარაღებისა, რომელნიც მან ამერიკიდან გამოიწერა. ეს სამეურნეო იარაღები სწორედ ისეთებია, როგორიც შეეფერება იმერეთის ნიადაგს და ამიტომაც იმერეთის მემამულენი სიამოვნებით ყიდულობენ ამ იარაღებს. ხალხში რომ უფრო გაავრცელოს ეს იარაღები, პატივცემულმა ვაჭარმა ზოგიერთ სოფელში იჯარით აიღო მიწა-წყალი და იქ ამ იარაღებით შეამუშავა ნიადაგი და დათესა ხორბალი, სიმინდი, ღომი, ფეტვი და სხვა. ახლაც ამ დღეებში ქუთაისის რიონს გაღმა ნაწილში, სილაზე ბ. ფეიქაროვმა გამოიტანა საღერღი მანქანა, რომელსაც ერთი ცხენი უბია, და ღერღავს სიმინდს და სიმინდის ნაქურჩალს. ფუთი სიმინდის და ფუთი ნაქურჩალის დაღერღვა ღირს ერთი შაური. მანქანის ფასიც იაფია.

წერილი ქუთაისიდან

მოგეხსენებათ, იმერეთის ვენახები გაანადგურა ფილოქსერამ და იმერელმაც ხელი მოჰკიდა ამერიკულ ვაზებზე დამყნილი ვენახების მოშენებას. ამ საქმეში დიდი სამსახური მიუძღვის საქარის საჩქოლეს, რომლის გამგედ და მეთაურად არის უფროსი აგრონომი ვლ. სტაროსელსკი. ყოველ წლიწადს ურიცხვი ხალხი აწყდება საქარის საჩქოლეს, სადაც სწავლობენ დამყნას და აგრეთვე ყიდულობენ დამყნილ ვენახის რქებსაც და მიაქვთ თავ-თავიანთ სოფლებში ვენახების გასაშენებლად. ეს გაშენება არც ისე მარტივია და ადვილი, როგორც ჩვენებს ეგონათ პირველად. ახალი სავენახე ადგილი უნდა შეიღობოს ძალიან კარგად და მჭიდროდ, რომ შიგ, ვენახში, არაფერი ცხოველი და ფრინველიც კი არ უნდა ჩავიდეს. ნიადაგი უნდა გადაბრუნებულ იქნეს სამ მეოთხედ ადლაზე მაინც და, თუ მწირი ადგილია, უნდა დაინაკელოს კიდეც...

შორაპნის მაზრის მემამულენი, რომელთაც კარის ყურში ჰქონდათ გამართული მშვენიერი საქარის საჩქოლე, მხნედ შეუდგნენ ვენახების გაშენების საქმეს, და მთელ ხნის განმავლობაში თითქმის გამოაბრუნეს თავიანთი დადუშული მამულები.

სამაგიეროდ ქუთაისის მაზრა, ანუ აგრეთ წოდებული ქვემო იმერლები ძალიან ჩამორჩნენ თავიანთ ზემოურ მოძმეებს. ქუთაისის ახლო-მახლო სოფლები, განთქმულნი ოდესღაც კაი ღვინოების მოსავლით, სრულიად ვენახებ-განადგურებულნი არიან და ღვინოს საზედაშედაც ვეღარ შოულობენ. ასეთმა აუტანელმა მდგომარეობამ დააფაცურა ქვემო იმერლები და წელს ისინიც შეუდგნენ ახალი ვენახების გაშენების საქმეს. ამერიკულ ვაზებზე დამყნილი რქების შესაძენად ისინი მოაწყდნენ ქ. ქუთაისს, მიმართეს საბაღოსნო სკოლას, წყალ-წითელაზე გამართულს საჩქოლეს, კერძო კაცებსაც, მაგრამ ვერსად ვერ იშოვეს გასასყიდათ დამყნილი რქები და ისევ საქარისკენ გაემართნენ. საქარის საჩქოლეში კი დამზადებული რქები 15 ქრისტეშობისთვემდე უკვე გაეყიდათ და, ამნაირად, ხელ-ცარიელნი მემამულენი ისევ თავიანთ სოფლებში გაბრუნდნენ.

მე მგონია, ამათ მდგომარეობას უნდა მიაქციონ ყურადღება იმათ, ვისიც ჯერ არს, და თუ წრეულს არ მოუხერხდათ ვაზების შეძენა, სავაისოდ მაინც მომზადებულნი შევხვდეთ ხალხის დიდს და საპატიო მოთხოვნილებას.

ფ.

დაბა-სოფლები

ს. საჭილაკო (სენაკის მაზრა). ფრიად საჭირო და სასურველ საგანს ჩვენის საზოგადოებისათვის შეადგენდა საქალებო სასწავლებელი და ექიმი. ამ სამოსწავლო წლის დაწყებიდან ადგილობრივი ბლაღოჩინის მამა ვლადიმერ ელიავას მეცადინეობით გვეღირსეთ საქალებო სამრევლო სასწავლებელს და მოგვეცა საშუალება ჩვენს ქალიშვილებს წერა-კითხვა მაინც ვასწავლოთ. ექიმის მოწვევაზედაც იყო აძრული კითხვა ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ ჯერ-ჯერობით სასურველად ვერ დაბოლოვდა, რადგანაც მოწინააღმდეგენი გამოჩნდნენ. იმედი მაინც არ დაგვიკარგავს, რომ ჩქარა შეიგნებენ მოწინააღმდეგენიც, და ადრე თუ გვიან ექიმი გვეყოლება.

აქ სიმინდის ფასმა ძალიან აიწია. ფუთი 60 კ. იყიდება. აგერ 10 წლიწადი იქნება, რაც სიმინდს ასეთი ფასი არ ჰქონია. დარები მშვენიერია აქეთ.

გლეხის ქორწილი იმერეთში

იმ დროს, როცა ცოტ-ცოტად კლებულობს იმერეთში ის აუარებელი ზარალი, რომელიც მოჰქონდა გარდაცვალებულის ტირილს, სხვა, კიდევ უფრო მავნე და საზარალო ჩვეულებას მოუკიდია ფეხი ხალხში. ეს ჩვეულება გახლავთ გლეხის ქორწილის გადახდა.

უწინდელ დროში გლეხის დაქორწილება იმერეთში სულ უბრალო საქმეს შეადგენდა და არავითარი მაზარალებელი ხარჯი არ ჰქონია არც სასიძოსა და არც სარძლოს მშობლებისათვის; დღეს-კი, სამწუხაროდ, სულ სხვანაირ მოელენას ვხედავთ. ეხლა გლეხის დაქორწილებას იმერეთში იმოდენი ხარჯი და ზარალი მოაქვს, ვერც-კი ინგარიშებს კაცი.

ჯვარის წერის დროს სასიძოს მიჰყავს თან 20—30-დის მაყარი. სარძლოს მშობლები დიდ მზადებაში არიან: ჰპატიჟობენ ცოლშვილით თავიანთ მოყვრებს, ნათესავებს, მეზობლებსა და ნაცნობებს, ასე რომ დიდი ხალხი იყრის თავს მასპინძლისას. სტუმრებს შესაფერი გამასპინძლება და პატივისცემა უნდა: მასპინძელი ჰკლავს ძროხას, ცხვრებს, ღორებს, შინაურ ფრინველებსა და ამზადებს საკმაო ღვინოს. ქორწილი თუ მეტი არა, უკანასკნელი ორი დღე და ღამე მაინც გაგრძელდება. მიუსხდებიან თუ არა სუფრას, ამოირჩევენ თამადას, ანუ ტოლუმბაშს და გაიმართება უზომო სმა. მაყრები ერთმანეთს ეჯიბრებიან სმაში და ისხამენ მუცელში აუარებელ ღვინოს. ვისაც დალევა აღარ შეუძლია, სცდილობს ჩუმად—შეუნიშნავად დაღვაროს ღვინო, ანუ როგორც იმერლები იტყვიან,—მოიპაროს. მთელი ღამე ამგვარად სმა-ჭამაში არიან. მაგრამ მასპინძელი, შემოღებულ ადათის ძალით, მაინც ვალდებულია გათენებულს ახალი სუფრა გაშალოს აივანზე, ანუ ეზოში. თან უნდა გამოიტანოს მთელი მოხარშული ღორი, სხვა სანოვაგეს გარდა, და სავსე კოკებით ღვინო უნდა დასდგას. გამოდიან მაყრები და ხელახლად იმართება ლხინი: მაყრები ვალდებული არიან პირდაპირ კოკებიდან სვამენ ღვინო. ღორის ხორცი, რაც მორჩებათ, — წასაღებად ინახავენ. ამ არა ჩვეულებრივ საუზმეს ზედ მოსდევს სადილი და კიდევ გაუწყვეტელი სმა და ჭამა. სადილად მეორე მხრიდან, ესე იგი მასპინძლის სტუმრებთაგან ირჩევენ თამადას, რომელმაც სამაგიერო უნდა გადაუხადოს მოსულ მაყრებს ღვინის დაძალებაში.

ასეთივე ლხინი და წვეულება უნდა გამართონ სიძის მშობლებმა, როცა იგინი რძალს მოიყვანენ *). დედოფლის მშობლები სცდილობენ მეტი მაყრები და დარჩეულ მსმელები გაატანონ თავიანთ ქალს, ვიდრე სიძეს მოჰყვნენ ჯვარის დაწერის დროს. ამ მაყრებში ბევრი უსაქმო ახალგაზრდა თავადი და აზნაურიც ურევია. ქალის მოსაყვანად სიძე ჰგზავნის რამდენსამე ცხენოსან კაცს. ქალის წაყვანის დროს ჯერ თვით მისი მშობლების სახლში იმართება ლხინი და, როცა კარგად გამოთვრებიან, მერმე წაიყვანენ სიმღერითა და დამბაჩების სროლით პატარძალს.

სიძის მშობლეზი, რასაკვირველია, დიდს მზადებაში არიან და ბევრს ისეთ სტუმრებს პატიჟობენ, რომლებიც კარგ მსმელებად არიან ცნობილნი. რადგანაც პატარძალი ღამით მიჰყავთ, გზაზე ცხენოსანი ყმაწვილები ეგებებიან წინ და გზას უნათებენ, თუ ბნელა.

სანათურად ჰხმარობენ სიმინდის ნაქურჩალას, რომელიც ნავთშია ამოვლებული და გრძელ ჯოხზეა წამოგებული. დედოფლის მოყვანის შემდეგ დასხდებიან ვახშმად და მთელი ღამე გაჯიბრებით სმენ. დილით ისეთივე ახალი სუფრა, ღორები და კოკებით ღვინო; შემდეგ სადილი და სადილს შემდეგ კიდევ ვახშამი. მეორე საღამოს მაყრები ისევ პატარძლის მშობლებთან დაბრუნდებიან ხოლმე, თან მიაქვთ საუზმეზე მორჩენილი ღორის ხორცი და მთელი ღამე კიდევ იქ ლოთობენ. ასე და ამ გვარად ორი დღე და ღამე გაუწყვეტელი უზომო და მავნებელი ჭამა-ქეიფია!

წარმოიდგინეთ ეხლა, გაცდენას გარდა, რამდენი ღვინო უნდა დაილიოს და რამდენი ხორაგი უნდა შეიჭამოს, ანუ სხვებრ რომ ვსთქვათ, რამდენი ზარალი უნდა ნახოს საბრალო გლეხმა! მაგრამ ამას ვილან სტირის, რომ სხვაც ბევრი ცუდი შედეგი არ მოსდევდეს თან ამ უგუნურ ჩვეულებას. ქორწილში ვერც ერთს ახალ-გაზრდა სტუმარს ვერ ნახავთ, რომ ხანჯალი არ ეკიდოს. ღვინით გალეშილ ხალხს სმის დროს ხშირად ჩხუბი მოსდით და ერთმანერთს ჩეხენ, რასაც შემდეგ საჩივარი და ხარჯი ერთვის ზედ. ყველა ამას გარდა უზომო სმა და ჭამისაგან, უძილობისაგან და გაციებისაგან ბევრი ავად ჰხდება, საქმეს სცდება და ზოგი სრულიად წუთი-სოფელს ესალმება.

ერთის სიტყვით, იმერელი გლეხის ეხლანდელ ქორწილს, რომ ყოველი მხრით გაშინჯოს და აწონ-დაწონოს კაცმა, ვერც-კი წარმოიდგენს კაცი, რამდენი ზარალი მოაქვს.

გ. წე—ბელი

წერილი რედაქციის მიმართ

11 ნოემბერს, ვეცელის დარბაზში გამართული წარმოდგენიდან „წერა-კითხვის საზოგადოების“ უფასო სამკითხველოების სასარგებლოდ შემოვიდა ბილეთების გაყიდვით 403 მ. 3 კ. საჩუქარი (პრემია) სხვა-და-სხვა პირებისაგან 46 მ. 30 კ. სულ 449 მ. 33 კ. დანახარჯი: მარკები 19 მ. 83 კ. თეატრის ქირა, განათება, სკამების ქირა, პარიკ-მახერი და დეკორაცია 81 მ. 60 კ. ფორტეპიანოს დამკვრელს და წვრილმანი 25 მ. 85 კ. სულ დაიხარჯა 127 მ. 28 კ. დარჩა წმინდა შემოსავალი 322 მ. 5 კ.

დიდ მადლობას ვუძღვნით როგორც იმ პირთ, ვინც მიიღო მონაწილეობა წარმოდგენაში, ისე იმ საზოგადოებას, რომელიც თავიანთი წვლილით დაგვეხმარა.

წარმოდგენის გამგენი ეკ. მესხისას ან. წერეთლ-სა.

---

*) იმერეთში გათხოვილი ქალი მიჰყავს ქმარს თავის ოჯახში ერთი წლის შემდეგ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

5 იანვარი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უმაღლესად დაამტკიცა მოხსენება, რომლით ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი სტეფანე ინიშნება სუმსკის ეპისკოპოზად, ხარკოვის ეპარქიის ვიკარად.—სახელმწიფო საბჭომ გარდასწყვიტა აძლიოს ხუთი წლის განმავლობაში, 1902 წლიდან დაწყებული, ოთხი ათასი მანეთი წელიწადში სინოდის არხივის აღსაწერ-გამოსაცემად.

ბერლინი. გერმანიის საიმპერიო ბანკმა დასწია დისკონტი 4-დან $3^1/_2$%-მდე.

ცარიცინი. ვოლგა გაიყინა; სამარხილე გზაა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ვოლგა-ტვერისა ნაოსნობის კამპანია, რომელიც ტვერსა და რიბინსკ შუა მუშაობდა, საქმეს სპობს.

სევასტოპოლი. საურთიერთო კრედიტის ადგილობრივ საზოგადოებაში აღმოაჩინეს 71,000 მანეთის გაფლანგვა.

ვარშავა. 11 იანვარს ოლქის სასამართლოში გაარჩევენ საქმეს 1900 წელს ვენის გზაზედ მომხდარის კატასტროფისას.

პოლონელთა წინააღმდეგ მოქმედების გამო, გალიციის მექარხნეთ გადაწყვიტეს გერმანიის ქვა-ნახშირის მაგივრად იხმარონ რუსეთის ნახშირი.

განსვენებულმა ბლიოხმა უანდერძა [illegible] ხა სტიპენდიების დაარსებისათვის ვარშავის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში; სტიპენდიები დაენიშნება ვარშაველთ, განურჩევლად სარწმუნოებისა.

პარიზი. პალატა. კუნეო და ორნანო ეკითხება მთავრობას აფიცრების დანიშვნის შესახებ არსებულ დადგენილებათა დარღვევის გამო. ანდრე იცავს კაბინეტს. პალატა გადადის მორიგ საქმეებზედ, რითაც ამტკიცებს, რომ მოსწონს მთავრობის მოქმედება.

პარიზი. ახლად გამოსული ეკონომიური გაზეთები კარგად იხსენიებენ რუსეთის ფინანსთ მინისტრის უქვეშევრდომილეს მოხსენებას.

ბაქო. ნავთის მწარმოებელთა კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ დააკმაყოფილონ ბიბი ეიბათის სახელმწიფო ადგილების მოიჯარადრეთა შუამდგომლობა, რათა ფუთობითი ფასი შეიცვალოს უფრო ნაკლების გარდასახადით.

მოსკოვი. 5 იანვარს დაიხურა ელექტრო-ტეხნიკური კრება. მომავალი კრება მოხდება პეტერბურგში.

6 იანვარი.

პეტერბურგი. „პრავიტელ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: „რვა მარტს, 1898 წელს, კურსკში, ზნამენსკის მონასტრის სობოროში აფეთქებით დაუნგრევიათ ქვისა და ხის კიბის საფეხურები, რომელიც სასწაულ-მოქმედ ღვთის მშობლის ხატთან იყო გაკეთებული, ამასთანავე დაზიანებულია მოაჯირი და ხატის თავზედ გაკეთებული ტალავარი. ადგილის გაშინჯვით აღმოჩნდა, რომ აფეთქება მოუხდინათ ბოროტ-განზრახულებით. 1901 წელს შემოდგომაზედ აღმოაჩინეს და დაატუსაღეს დამნაშავენი ანატოლი უფიმცევი-20 წლისა, ლეონიდ კიშკინი 21 წ., ვასილ კამენევი 22 წ. და ანატოლი ლატუგინი 21 წლ.; ყველა ამათ აღიარეს თავისი დანაშაულობა. გამოკითხვამ აღმოაჩინა, რომ აფეთქება მოუხდენიათ უფიმცევის წინადადებით, რომელსაც ეგონა, რომ ამითი შეარყევდა ხატისადმი ხალხის რწმუნებასა და თაყვანის ცემას. თავისი განზრახულება უფიმცევმა გაანდო კიშკინს, კამენევს და ლატუგინს, რომელთაგან პირველი დაეხმარა ასაფეთქებელი წამლის მომზადებაში, ხოლო მეორემ მოიპოვა საათი, რათა აფეთქება მომხდარიყო დანიშნულს დროზედ როდესაც ასაფეთქებელი იარაღი მზად იყო უფიმცევმა და კიშკინმა, რომელთაც ლატუგინიც ახლდათ თან, 7 მარტს საღამოს ლოცვის დროს მოიტანეს სობოროში ეს იარაღი. კიშკინი მიუახლოვდა ღვთის მშობლის ხატს და შეუმჩნევლად დასდო იარაღი ხატის ძირში. იარაღი ბამბაში იყო გახვეული, რომ მანქანის კაკუნი არავის არ სმენოდა და იმ ანგარიშით იყო მანქანა მომართული, რომ იარაღს უნდა ეფეთქნა ღამე, ორის ნახევარზე, როდესაც ტაძარში ღვთის-მსახურება არ არის ხოლმე. გამოძიებამ დაამტკიცა გულახდილი ჩვენება ბრალდებულთა. ხელმწიფე იმპერატორმა 26 დეკემბერს 1961 წელს ბრძანა, რომ ბრალდებულთ ჩაეთვალოს სასჯელში ის დრო, რაც ისინი აქამდის დატუსაღებული იყვნენ და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გაიგზავნონ უფიმცევი აკმოლინის ოლქში ხუთის წლით, ხოლო კიშკინი, კამენევი და ლატუგინი—აღმოსავლეთ ციმბირში, პირველი ხუთის წლით, დანარჩენი ორი—სამის წლით“.

სოფია. საერო კრების არჩევნები მოხდება 18 თებერვ.-ლს. როგორცა სჩანს, კაბინეტმა გადასწყვიტა მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში და იმოქმედოს ცანკოვის მომხრეებთან ერთად.

სტოკჰოლმი. შვეცია-ნორვეგიის კონსულთა საზოგადო კრებაზე აირჩიეს კომისია, რომ განმარტონ კითხვა შვეცია-ნორვეგიის საკონსულო ნაწილის გადაკეთების შესახებ.

რომი. რუსეთის მინისტრ-პრეზიდენტის სადილზე იყვნენ კარდინალები რამპოლა და მათიე, საფრანგეთის ელჩი ვატიკანში, რომის არისტოკრატიის წარმომადგენელნი და რუსთა ახალშენის წევრები.

ლონდონი. კრაუზეს ორის წლით დატუსაღება გადაუწყვიტეს. გარდაიცვალა პარლამენტის წევრი ანცელ ბარტლედი.

სტამბოლი. ბაღდადის გზის კონცესია გასცეს 99 წლით; იგივე 99 წლის ვადაა დანიშნული კონცესიის სამოქმედოდ არსებულს გაიდარფაშა-ანგორის გზაზე, რომელიც უნდა იანგარიშონ ბაღდადის გზის კონცესიის გაცემის დღიდან. ეს გზა დაიწყება კონიაში, გაივლის ბაღდადზე და გათავდება სპარსეთის ყურესთან, იმ ალაგს, რომელსაც შემდეგში საერთოდ დანიშნავენ. გზის შესაკეთებლად სპარსეთის ყურეს და სტამბოლს შუა მთავრობამ ყოველ წლივ უნდა გადაიხადოს ოც-და-ათი წლის განმავლობაში, საზოგადოების სასარგებლოდ 350,000 ფრანკი; გარდა ამისა კიდევ 350,000 ფრანკი ყოველწლივ კონცესიის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში მომეტებულ ხარჯის დასაფარავად. ბაღდადის გზა თავის შტოებით სიგრძით იქნება 2,500 კილომეტრი.

7 იანვარი.

პეტერბურგი. მათ უდიდებულესობის თანადასწრებით 6 იანვარს საზამთრო სასახლეში და მდ. ნევის ნაპირას შესდგა სანათლიღებო პარადი.

ხარკოვი. 4 იანვარს ღამე დაიმსხვრა რკინის გზის ვაგონები პოლტავისა და მერეფის სადგურებზე; მგზავრთაგან არავინ დაშავებულა.

ვარშავა. ქალაქდით მოვაჭრეთ საზოგადო კრებაზე ვარშავაში დაადგინეს, რაც შეიძლება შეამცირონ ვაჭრობა გერმანიასთან.

კონსტანტინეპოლი. აუდიენციის დროს ზინოვიევმა წარუდგინა სულთანს თავადი სანგუშკო, რომელსაც სულთანმა უბოძა მეჯიდიეს ორდენი ლენტით.

ბარცელონა. მონრეზის ახლოს საქსოვქარხანაში გასკდა ორთქლის ქვაბი; მოკლულია 60 და დაჭრილია 100 კაცი.

ტამბოვი. 6 იანვარს დილის ამბით მიეგებნენ კამერგერ ნარიშკინის აქ მოსვენებულ ცხედარს.

მოსკოვი. მკურნალთა კრებამ განიხილა პიროგოვის კრებათა წესდებისა გადადება მომავალ კრებისათვის. კრების კომიტეტი ყაზანიდან გადატანილ იქმნა მოსკოვში: განყოფილებს კი დარჩება ყაზანში, ოდესაში და ტომსკში.

სასოფლო სამეურნეო განათლების მოღვაწეთა კრებამ გამოსთქვა, სასურველია მოუმატონ ზედამხედველთა რიცხვს ს სოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში, მოუთხოვონ მეტი განათლების ცენზი, მოუმატონ ჯამაგირი და მიეცეთ ხმა სამოსწავლო საბჭოში.

პარიზი. გაზ. „ტან“-ი ამბობს, რომ უქვეშევრდომილესი მოხსენება ფინანსთა მინისტრის ვიტესი შესახებ 1902 წლის ხარჯთ აღრიცხვისა მეტად კეთილ საიმედოა რუსეთის ფინანსებისთვის.

„ჟურნალ დებატს“-ს მოჰყავს კანონი საქციონერო საზოგადოებათა შესახებ, აღნიშნავს იმის დიდ მნიშვნელობას და ამბობს, რომ ეს კანონი უკეთესად უზრუნველ ჰყოფს აქციონერთა წარმომადგენლობას და დაიხსნის საკრედიტო დაწესებულებათა გამგეობას სამრეწველო საზოგადოებათაგან დამოკიდებულებისაგან.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი **ივ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

—

პეტერბურგის ბირჟა 4 იანვარს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ზე	93,80
ბერლინზე 100 მარკაზე	—
პარიზზე 100 ფრანკზე	—
ლონდონზე ჩეკები	94,55
ბერლინზე „	[illegible]6,30
პარიზზე „	37,65
ბირჟის დისკონტი	$5^1/_2$—7%
4% სახელმწიფო რენტა	$96^1/_8$ გაყიდ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ, მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	474 „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$374^3/_4$ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	58 „
$3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	$87^1/_8$ „
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	$88^5/_8$ „
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	$82^1/_2$ აყიდვ.
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებელით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადებანი

—

ოზურგეთის ქალაქის თვით-მმართველობა ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით 12 იანვარს, დილის 12 საათზე, დანიშნულია ხელმორედ გადაწყვეტილი ვაჭრობა განუმეორებლად, სიტყვიერად, ანუ დახურული პაკეტით, რომლით გაიცემა იჯარით 1902 წლის განმავლობაში ქალაქის სასწორი, თავისის ერთი ბუდკით; უფლება დადგმის სამის მოძრავის ბუდკისა ბაზრის მოედანში; საქონლის დასაკლავი (ბოინია) და აგრეთვე განათება ქუჩის ფარნებისა. ვაჭრობა დაიწყება: ა) ქალაქის სასწორზე და მასთან ერთ ბუდკაზე 471 მანეთიდან. ბ) ერთი მოძრავი ბუდკის დადგმის უფლება 120 მანეთიდან. გ) ქალაქის საქონლის დასაკლავი (ბოინია) 823 მანეთიდან და დ) განათება წლის განმავლობაში ერთი ფარნის თერთმეტი ლინიის გარელკით 8 მ. 50 კაპეიკიდან და განათება ერთი ფარნის ოცდა-ათი ლინიის მოლნია 12 მანეთიდან. მსურველს შეუძლია ივაჭროს ყველა საგნებზე ერთად, ანუ თითოეულზე ცალკე. პირობის უზრუნველ საყოფელად უნდა იქმნეს წარმოდგენილი გირაო ერთი მეათედი გამოცხადებულის ფასისა ნაღდი ფული, ანუ სარგებლიანი ქაღალდი. ყოველივე პირობის გაცნობა შეიძლება თვით-მმართველობის კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 8 საათიდან 2-მდე. (3—3)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
ამით აცხადებს, რომ ამა წლის 8 იანვარს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საზოგადო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით 327 ოთხ-კუთხი საჟენის შეშის დამზადება ერთის წლის განმავლობაში საქალაქო დაწესებულებათათვის და 73 საჟენისა ტფილისის ადგილობრივ კამანდისა და საკომენდანტო მმართველობისათვის.

ვისაც სურს დაწვრილებითი პირობების განხილვა, შეიძლება ყოველ-დღე, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე, გამგეობის მე-4 განყოფილებაში. (ნ. 2—3)

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის [illegible] ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
„ჯეჯილი“
(წელიწადი მეცამეტე)
გამოვა **1902** წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორც აქამდის.
ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.
ჟურნალი «ჯეჯილი» ტფილისში დატარებით ღირს 4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან.
ცალკე ნომერი 50 კპ.
ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.
ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—„წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Грузинскаго Дворянства, № 101) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ кадетскаго корпуса).
ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „ДЖЕДЖИЛИ“.

ამხანაგობა „შრომა“
საკუთარ ხეხილეულობის სანერგედან ჰყიდის
ძლიერ იაფად დამყნილ
ნერგებს
მსურველთ შეუძლიათ მიმართონ: აგრ. ლაგოდეხში—გ. ხურიმიანცს; ტფილისში—ბაღოსნობა «ფლორას» და მუშტაიდში—ზ. პრიდიჩკას.
კატალოგი იგზავნება უფასოდ. (20—17)

პირველი ნომერი 1902 წლის ჟურნალ
„მოგზაურისა“
გამოვა ახალის წლის პირველ იანვრისათვის,
ამიტომ, ვისაც ჰსურს, რომ ჟურნალი თავის დროზე მიუვიდეს, ვსთხოვთ ახლავე დაიგზავნონ იგი.
ფასი ჟურნალისა გაგზავნით: წლით—**ხუთი მანეთი**, ნახევარ წლით—**სამი მანეთი**.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს: Въ Тифлисъ, въ Редакцію „МОГЗАУРИ“.
ტფილისში ხელის მოწერა მიიღება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან და თვითონ რედაქტორთან „კავკასიის საკანდიტეროში“ (გოლოვინის პროსპექტზე „კრუჟოკის“ ქვეშ)—დღესასწაულებში დილის 11 საათიდან 1 საათამდის, ხოლო საქმის დღეებში—საღამოს 5 საათიდან 7 საათამდის. 3—2

Дозволено цензурою Тифлисъ, 7 Января 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.